DOI: 10.67363/yjwqws8z

Maia Nadare
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
Founder and CEO, BRAMS Institute

Copyright in Virtual Reality

(Abstract)

KEYWORDS: Copyright, Law, Fair Use, Virtual Reality, AI, Media, Journalism, News, Memes, Parody, WIPO, Europeana, United States (USA), Georgia

The German Basic Law expressly protects freedom of expression. Article 5(1) emphasises the state's duty to safeguard press freedom, and all branches of government share responsibility for guaranteeing a secure, uninterrupted working environment for journalists and for promoting pluralism among media outlets – often described as "external pluralism."

Contemporary journalists in Georgia encounter acute challenges in the virtual workplace. The rapid expansion of information technologies and the proliferation of publishing platforms have coincided with a substantial rise in media plagiarism. Identical passages routinely recur verbatim across disparate Georgian online outlets, a phenomenon that runs counter to the international copyright norms recognised by the Constitution of Georgia. In some cases, existing legal frameworks do not provide effective remedies for such violations; in others, economic or organisational encouragements within media outlets may actively encourage the uncredited reuse of material. This study examines those dynamics by analysing comparative international law to identify causes, trace effects, and propose possible remedies.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Copyright is the bundle of legal rights accorded to creators of literary, artistic and musical works for a limited term. It permits rights-holders to regulate reproduction, publication, public performance, adaptation, filming and recording, and it encompasses related neighbouring rights. Yet the international copyright regime remains beset by unresolved tensions that produce uneven and, at times, inequitable outcomes. The rise of digital media has introduced further complexity: the chaotic, rapid dissemination of content across global networks complicates enforcement, while many users remain unaware that routine online activities – sharing images, audio or video, even in a non-commercial context – can constitute a violation.

The doctrine of fair use, as articulated in United States jurisprudence and described by commentators such as Richard Stim, permits the unauthorised copying of copyrighted material for limited, "transformative" purposes – commentary, criticism, parody and analogous functions – without the owner's consent. However, fair use is deliberately indeterminate; it affords courts substantial discretion, yielding considerable variability in adjudication. The architects of the doctrine intended a broad, speech-protective interpretation, yet its application centres on a case-by-case balancing exercise. Absent such an exception, rights-holders could more readily suppress critical discourse, with deleterious implications for freedom of expression.

In U.S. federal courts, the determination of fair use rests on four statutory factors: the purpose and character of the use (including whether it is transformative and whether it is commercial), the nature of the copyrighted work, the amount and substantiality of the portion used, and the effect of the use on the potential market for or value of the original. Each factor is evaluative rather than determinative, and courts routinely weigh them cumulatively. The purposes that commonly attract fair-use protection include parody, education, scholarship, scientific research, review, and commentary.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

The second factor – whether the use yields social benefit – distinguishes documentary and biographical materials, which are more readily susceptible to fair-use claims, from wholly artistic creations such as fiction or dramatic works, which attract stronger protection. The status of a work as published or unpublished is also consequential: authors of unpublished works retain a heightened entitlement to control its first public disclosure, a factor courts treat as significant.

The third factor addresses quantity and quality: the proportion of the work used is important, but so is the qualitative importance of the excerpt. Even a small excerpt may be infringing if it embodies the work's essence. Notably, parody occupies a special space in this enquiry; the U.S. Supreme Court's jurisprudence has recognised the legitimacy of using elements of a work for parodic purposes where the use serves a new expressive function.

The fourth factor – market effect – assesses whether the secondary use usurps demand or potential revenue streams for the original. A finding of commercial harm will often weigh heavily against fair use, though courts recognise that critical commentary and parody may depress sales in ways that are constitutionally tolerable. The contemporary Internet era has, in practice, allowed memes and parodic narratives to proliferate across social platforms, posing fresh thorny questions for adjudication.

Because copyright law is interpretative, allegedly parodic or critical uses sometimes provoke litigation and are characterised as violations. Political controversies illustrate how legal doctrines intersect with public debate: highly charged issues such as reproductive rights have been litigated and instrumentalised in divergent legal contexts, underscoring how law can be mobilised for political ends. Copyright disputes, by contrast, tend to be negotiated with greater caution by policymakers, though they are by no means immune to politicisation.

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

For many authors and performers, the present legal architecture feels inadequate. The shift towards immersive and virtual environments – augmented reality (AR), virtual reality (VR) and other mixed-reality platforms – exacerbates longstanding lacunae. In virtual spaces, copyrighted works may be replicated, remixed or re-experienced in ways that existing statutes and enforcement mechanisms struggle to encompass. The rapid development of generative artificial intelligence compounds the problem: models trained on large corpora of protected material may produce derivative outputs that test the boundaries of originality, transformation and infringement.

Absent proactive regulatory responses, technological advances risk creating exploitable loopholes that erode creators' control and remuneration. Conversely, heavy-handed or poorly calibrated regulation could chill legitimate uses and impede the creative and discursive functions that copyright law seeks to promote. Hence, the imperative is to fashion balanced rules that preserve authors' moral and economic interests while safeguarding freedom of expression and the myriad public-interest activities – education, scholarship, criticism, and parody – that fair-use doctrines aim to protect.

This article, therefore, argues for measured reform: clearer statutory guidance on transformative use in digital and virtual contexts; enhanced mechanisms for attribution and remuneration in immersive environments; and accessible dispute-resolution processes tailored to the speed and scale of online dissemination. International co-operation will be essential, given the transboundary nature of networks and platforms. Ultimately, legal rules must be technologically literate and normatively proportionate in their aims and effects, so that the virtual realm protects creators' rights while preserving the public benefits of cultural exchange, education, and critical discourse.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/yjwqws8z

მაია ნადარეიშვილი
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
დამფუძნებელი და დირექტორი,
ბრამსის ინსტიტუტი

ქოფირაითი ვირტუალურ რეალობაში

საკვანძო სიტყვები: ქოფირაითი, სამართალი, თავისუფალი გამოყენება, ვირტუალური რეალობა, ხელოვნური ინტელექტი, მედია, ჟურნალისტიკა, ახალი ამბები, მიმები, პაროდია, ისმო, ევროპიანა, აშშ, საქართველო

გერმანიის კონსტიტუცია აღიარებს სიტყვის თავისუფლებას, ხოლო მე-5 მუხლის პირველი პარაგრაფით ხელისუფლებას ასახელებს პრესის თავისუფლების გარანტად. სწორედ ხელისუფლების სამი შტოს ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს მეოთხე ხელისუფლების შეუფერხებელ პროფესიულ საქმიანობას „გარეპლურალიზმის“[1] ანუ ჟურნალისტების კონკურენციის საშუალებით.

დასავლელი კოლეგებისგან განსხვავებით, თანამედროვე ქართული რეალობა ერთი უაღრესად საჭირბოროტო მედიაპრობლემის გადაჭრის აუცილებლობის წინაშეა. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად უსაზღვროდ გაზრდილ საინფორმაციო წყაროთა მრავალფეროვნების მიუხედავად, აშკარად გამოიკვეთა მედიაპლაგიატისადმი მიდრეკილების შემაშფოთებელი ფაქტი, რომლის არათუ კანონიერი აღკვეთის მცდელობა, წახალისება შეიმჩნევა. ნებისმიერ ფაქტსა თუ მოვლენასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით თვალშისაცემია ქართულ ციფრულ გამოცემებში ერთი და იგივე ტექსტის სიტყვა-სიტყვით გამეორება განსხვავებული მედიაგამოცემის მიერ. ასეთი რეალობა სრულ შეუსაბამობაშია საავტორო უფლებების საერთაშორისო ნორმებთან. არგუმენტთა ერ-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თი ნაწილის საფუძველზე,[2] „ნაწარმოები ითვლება ავტორის პერსონალურობის გამოხატულებად, რომლითაც დასტურდება ავტორის როგორც მორალური, ისე ეკონომიკური უფლებები“.[3] საკუთრების ჯონ ლოკისეული დასაბუთების თანახმად[4] კი, ნაწარმოები ავტორის შრომის ნაყოფად მიიჩნევა, რაც ამართლებს ავტორის მიერ საკუთარი ნაწარმოების გამოყენების შედეგად გაჩენილი შემოსავლის მიღებას.[5]

როდესაც აშშ-მა საავტორო უფლება კომპიუტერული პროგრამის ძირითადი დაცვის მექანიზმად აირჩია, ევროკავშირმაც იტვირთა საავტორო სამართლის მეშვეობით კომპიუტერული პროგრამების სამართლებრივი დაცვის ფარგლების ჰარმონიზაცია. თუმცა, გაურკვეველი რჩებოდა, დაიცავდა თუ არა კომპიუტერულ პროგრამას ყველა წევრი სახელმწიფო საავტორო სამართლით და რა პირობებით აღასრულებდა ამ დაცვას. განსხვავება მნიშვნელოვანი იყო გაერთიანებულ სამეფოსა და გერმანიას შორის. „საავტორო სამართლებრივი დაცვის გერმანული ბარიერი მოითხოვდა მაღალი დონის შემოქმედებითობას, ბრიტანული სამართლის მიხედვით კი, ყველა პროგრამა, რომელიც არაკოპირებული და ორიგინალური იყო, დაცვას ექვემდებარებოდა“.[6] სიტუაცია დაბალანსდა, როცა 1991 წლის 14 მაისს ევროსაბჭომ მიიღო კომპიუტერული პროგრამების სამართლებრივი დაცვის შესახებ დირექტივა,[7] რომელიც 2009 წლის 23 აპრილს ხელახლა გამოაქვეყნა სახელწოდებით – ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა კომპიუტერული პროგრამების სამართლებრივი დაცვის შესახებ.[8]

ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებების ციფრულ გარემოში დაცვასთან დაკავშირებით 1996 წელს დაიდო სპეციალური შეთანხმებები:

1. საავტორო უფლებათა შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება (WCT);[9]

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

2. შემსრულებლებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება (WPPT).[10]

2012 წელს კი მიიღეს პეკინის ხელშეკრულება აუდიოვიზუალური შესრულების შესახებ.[11]

როდესაც აშშ-ში გუგლმა წიგნების ციფრულ ფორმატში გადაყვანა დაიწყო და ინტერნეტის საშუალებით გლობალურად ხელმისაწვდომი გახადა სრულიად უფასოდ, ამის საპასუხოდ 2005 წელს შეიქმნა პროექტი „ევროპიანა“ (Europeana),[12] რომელიც მიზნად ისახავდა ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ციფრული საცავის შექმნას. ინიციატივის „i2010: კომუნიკაცია ციფრულ ბიბლიოთეკაში“ სტრატეგიად გამოაცხადეს ინფორმაციული საზოგადოებისა და მასობრივი საინფორმაციო ინდუსტრიის ზრდა, რასაც ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა სამუშაო ადგილების წარმოქმნა.

გუგლის ციფრული პროექტისგან განსხვავებით, ევროპიანას მასშტაბი საგრძნობლად შეზღუდულია მხოლოდ საყოველთაო კუთვნილებაში არსებული მასალის გამოყენების გამო. პრობლემის გადასაჭრელად, ევროკომისია ცდილობს უშუალოდ ამ პროექტისათვის გაცილებით გაამარტივოს ონლაინსივრცეში ევროპული საინფორმაციო წყაროების გამოყენება. საავტორო უფლებების დაურღვევლად დაცული მასალების გაციფრულებისათვის აუცილებელია „ობოლი ნაწარმოებების“[13] პრობლემის მოგვარება. რადგან ასეთი ნაწარმოების შემთხვევაში შეუძლებელია მის გამოყენებასთან დაკავშირებით წინასწარ ნებართვის აღება საავტორო უფლების მქონე პირისგან, მილიონობით ნაწარმოების ასლის დამზადება და მათი სხვაგვარი გამოყენება (წიგნის ციფრულ ფორმატში გადაყვანა, ფოტოს გამოყენება ილუსტრაციის სახით მედიატექსტში, ფილმის აღდგენა საჯარო ჩვენებისათვის და მისთ.) ვერ ხერხდება.

ქოფირაითი ის ტერმინია, რომელიც ლაკონიურად აღნიშნავს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სამარ-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თლებრივ რეგულირებას. თუმცა, საერთაშორისო რეალობის გათვალისწინებით, იმდენი პრობლემაა მოსაგვარებელი, რომ სამართლის სასწორი ხშირად არასახარბიელო, არახელსაყრელ და უსამართლო მხარეს გადაიხრება ხოლმე. მოუგვარებელ საკითხებს განახლებულ ფორმატში გამუდმებით ემატება ციფრულ მედიასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ახალ-ახალი პრობლემები, რასაც იწვევს „გლობალური სოფლის“[14] მოსახლეობის ვირტუალური რეალობის მასობრივ-ქაოტური ათვისება. მათ არავინ აფრთხილებს, რომ ციფრული მედიის გამოყენებით ნებისმიერი საქმიანობისას შესაძლებელია მათდაუნებურად დაარღვიონ ქოფირაითით დაცული უფლება მაკროიმიჯის, აუდიო თუ ვიდეომასალის გამოყენებისას თუნდაც არაკომერციული გზით.

სამართალმცოდნე რიჩარდ სტიმს ჩამოყალიბებული აქვს საყოველთაოდ ცნობილი ამერიკული განმარტება[15] იმის თაობაზე, რომ საავტორო უფლების სამართლიანი გამოყენების პრინციპი ემყარება საზოგადოების წევრების უფლებას, ნებართვის წინასწარ აღების გარეშე გამოიყენონ ქოფირაითით დაცული მასალების ნაწილები მათი შეფასების, კომენტირებისა და გაკრიტიკების მიზნით. ასეთი თავისუფლების გარეშე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მქონე პირები ნეგატიური გამოხმაურებების ალაგმვას მოახერხებდნენ. ეს კი მოსპობდა ადამიანის გამოხატვის ფუნდამენტურ უფლებას. თუმცა, ქოფირაითის მფლობელი თუ არ დაეთანხმა მის მფლობელობაში არსებული მასალის თავისუფლად გამომყენებელს, საქმე ფედერალურ სასამართლო განხილვამდე მივა აშშ-ის შემთხვევაში. ოთხ ზოგად ფაქტორზე (მასალის გამოყენების მიზანი და სახე; საავტორო უფლებით დაცული მასალის ბუნება; გამოყენებული ამონარიდის რაოდენობა და მნიშვნელოვნება; ამ გამოყენების გავლენა პოტენციურ ბაზარზე) დაყრდნობით, თითოეული მოსამართლე ინდივიდუალურად გადაწყვეტს აკმაყოფილებს თუ არა კონკრეტულ

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

საქმეში წარმოდგენილი ფაქტი თავისუფალი გამოყენების კრიტერიუმებს.

პირველი ფაქტორის ნიმუშია მასალის პაროდირება, მისი გამოყენება სწავლის, სწავლებისა თუ სამეცნიერო გამოკვლევის მიზნით, ასევე, რეცენზირების, განხილვის ანდა კომენტირებისათვის.

რადგან გარკვეული ტიპის ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას, მეორე ფაქტორი ქოფირაითით დაცული მასალის თავისუფლად გამოყენების უფლებას იძლევა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება დოკუმენტურ მონაცემებს, მაგალითად, ბიოგრაფიას, მაშინ, როცა მხატვრულ ნაწარმოებთა შემთხვევაში (რომანი, პიესა თუ მოთხრობა), გაცილებით შეზღუდულია მსგავსი ქმედება. ამას გარდა, თავისუფალი გამოყენების საფუძველი გაცილებით ლეგალურია უკვე გამოქვეყნებული მასალის გამოყენებისას, ვიდრე გამოუქვეყნებლის შემთხვევაში, რომლის ავტორსაც უფლება აქვს თავად გააკონტროლოს საკუთარი თხზულების პირველი გასაჯაროების ასპექტები.

მესამე ფაქტორის მიხედვით, რაც უფრო მცირეა საავტორო უფლებით დაცული მასალის გამოყენებული ნაწილი, მით უფრო ჩაითვლება ნებადართულად მისი თავისუფლად გამოყენება. თუკი არსებითი, უმთავრესი სათქმელის გამოყენებას აქვს ადგილი, რაგინდ მცირეც იყოს, დედააზრის ასეთი ასლირება ვერ ჩაითვლება კანონიერ ქმედებად და ლეგალური პასუხისმგებლობის საკითხის დადგომა ლოგიკური იქნება. თუმცა, ეს არ ეხება ეპიზოდის პაროდირებას, რაც 1994 წელს დააკანონა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ.[16]

დაბოლოს, კანონიერი გამოყენების განსაზღვრისთვის უმნიშვნელოვანესია იმის დადგენა, საავტორო უფლების მქონე პირი კარგავს თუ არა შემოსავალს ან პოტენციურ ბაზარზე ფეხის მოკიდების შანსს სხვის მიერ მისი საკუთრების გარკვეული სახით გამოყენების შედე-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გად. ქოფირაითის მფლობელის საშემოსავლო ზარალის ფაქტი აუცილებლად გამოიწვევს სასამართლო დავას იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ მოხდა ორიგინალური ნაწარმოების პირდაპირი კონკურენცია.[17] აღსანიშნავია, რომ პაროდიით ორიგინალისადმი მიყენებული ფინანსური ზარალი არ ჩაითვლება სამართლებრივი დევნის საფუძვლად, რადგან ამის გაკეთება ნებისმიერ უარყოფით რეცენზიას შეუძლია და არსებითი საკითხი ისაა, დააკმაყოფილებს თუ ვერა ორიგინალზე მოთხოვნას.[18] რადგან სამართალს ადამიანური ფაქტორი მუდამ ახლავს და კონკრეტული მოსამართლის აზროვნების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე ხდება საბოლოო განაჩენის გამოტანა, პაროდია კანონდარღვევადაც შეიძლება ჩათვალოს მავანმა.[19]

საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს დისბალანსი, რის გამოც ზოგიერთი ავტორ-შემსრულებელი უკმაყოფილოა მათი უფლებების დაცვის ხარისხით. ვირტუალურ რეალობაში მათ გაცილებით ადეკვატური სამართლებრივი მხარდაჭერა და დაცვა სჭირდებათ, ვიდრე ამჟამად აქვთ. სიტუაციას კატასტროფულად გააუარესებს საკითხის ღიად დატოვება, როდესაც ხელოვნური ინტელექტის განვითარებას მოჰყვება ამ ტექნოლოგიურ სიახლეზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში ჩატოვებული ხარვეზების წინასწარ დახვეწა უმნიშვნელოვანესია. დღეისათვის მოქმედი კანონები შორსაა სრულყოფილებისგან, მაგრამ რეგულაციების გამკაცრებაც სარისკოა. თითოეული სიახლე დიდი სიფრთხილით, სამართლის აღსრულების უზრუნველსაყოფად უნდა განხორციელდეს და არა – არსებული უსამართლობის კიდევ უფრო გასამწვავებლად.

შემოქმედს (ჟურნალისტი იქნება, მწერალი, კომპოზიტორი, მომღერალი თუ ნებისმიერი სხვა სახელოვნებო

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

პროფესიის წარმომადგენელი) კანონმა საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოვლენის სურვილი არ უნდა დაუკარგოს, როგორც ეს თანამედროვე არავირტუალურ რეალობაშია დამკვიდრებული. პრესამ მკითხველი დაკარგა, ტელევიზიამ – მაყურებელი, მომღერალმა – მსმენელი, სკოლებმა და უნივერსიტეტებმა – განათლების მიცემის ფუნქცია. ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, ინდივიდუალური დავალებები პლაგიატობაზე აქეზებენ მოსწავლეებს. ზრდასრულები კიდევ უფრო დახვეწილად მოქმედებენ და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, მნიშვნელოვნად გაართულებენ მათ გამოჭერას. დღეს არსებული საერთაშორისო დაუწერელი კანონით, „თუ არ დაიჭირე, ქურდი არ არის“[20] (როგორც ეს 1958 წლის ფრანგულ კომედიაშია). მწვავედ დადგება საკითხი, როდესაც შემოქმედებითი საქმიანობის საკუთარ თავზე აღება აღარავის მოუნდება: ვის ნამუშევარს გადააკეთ-გადმოაკეთებენ, საკუთრად რომ წარმოაჩინონ კანონში ჩატოვებულ ხვრელებში გაძრომაზე დაოსტატებულებმა?

უკვე ცხადია, რომ მოქმედი კანონები არასაკმარისია. აუცილებელია ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით ისეთი რეგულაციების შემუშავება, რაც დააბალანსებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა უფლების დაცვას ვირტუალურ რეალობაში, გამოხატვის თავისუფლების შენარჩუნებით.

ლიტერატურა ▫ References

1. ცაცანაშვილი მარიამ (2004). ინფორმაციული სამართალი. თბილისი, გვ. 95.
2. Droit d’auteur-ის მეთოდი კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმეტესობაშია გაბატონებული, განსაკუთრებით, საფრანგეთსა და გერმანიაში.
3. კური ანეტ, დრეიერი ტომას (2017). ევროპული ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 264.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

4. Copyright-ის მეთოდს უპირატესობას ანიჭებენ საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებსა და ევროპაში, კერძოდ, გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში.
5. Nadare, Maia (2021). *Deontology Through the International Media Law*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 213-232 (In Georgian).
6. კური ანეტ, დრეიერი ტომას (2017). ევროპული ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 275.
7. Council Directive 91/250/EEC of 14 May 1991 on the legal protection of computer programs, [1991] OJ L 122/42.
8. Directive 2009/24/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2009 on the legal protection of computer programs, [2009] OJ L/16.
9. საავტორო უფლებათა შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება (WCT) [wipo.int/treaties/en/ip/wct].
10. შემსრულებლებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება (WPPT) [wipo.int/treaties/en/ip/wppt].
11. პეკინის ხელშეკრულება (2012) [wipo.int/treaties/en/ip/beijing].
12. ევროპიანა [europeana.eu/portal].
13. ობოლი ნაწარმოები (ინგლ. Orphan Works) – საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოები, რომელთან დაკავშირებითაც ვერ დგინდება უფლების მფლობელის ვინაობა ან ადგილსამყოფელი. ასეთი დაცული ნაწარმოები შეიძლება გამოცხადდეს უპატრონოდ, თუ გამოტოვებული ან ვადაგასულია მონაცემები ავტორის ანდა შესაბამისი უფლების მფლობელის (გამომცემელი, ფოტოგრაფი, ფილმის პროდიუსერი) შესახებ [https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2009:0532:FIN:EN:PDF].
14. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*. Tbilisi: Publishing House Universal, p. 301 (In Georgian).
15. Stim, Attorney Richard (2019). *Getting Permission: Using & Licensing Copyright-Protected Materials Online & Off*. Seventh Edition, Berkeley, CA: Nolo.
16. *Campbell v. Acuff-Rose Music*, 510 U.S. 569 (1994).
17. *Rogers v. Koons*, 960 F.2d 301 (2d Cir. 1992).
18. *Fisher v. Dees*, 794, F.2d 432 (9th Cir. 1986).
19. *Original Appalachian Artworks, Inc. v. Topps Chewing Gum*, Inc., 642 F.Supp, 1031 (N.D. Ga. 1986).
20. „თუ არ დაიჭირე, ქურდი არ არის“ (French: *Ni vu, ni connu* (English: *Not Seen, Not Known*). Directed by Yves Robert, Compagnie Commerciale Française, 1958.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)